



"სანახაობა" იქნება, ოდნოდ - ცოტა მოგვიანებით

A2



დავითო, თორემ დავიკარგავ

A6



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანდები

A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგაბათი, 27 სექტემბერი, 2005 წელი, №214 (1074)

ფასი 50 თეთრი

ახვები

"ხმაურიანი" დავა

უკვე ოთხი წელიწადია, რაც დეგუბადის ქუჩის მცხოვრებლები ღამით სიმშვიდეს ითხოვენ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ღამის გასართობი ცენტრიდან გამოსული გამაძლიერებელი აპარატურის ხმაური ნორმით დაშვებულ 30 დეციბელს საგრძნობლად აღემატება.

A2

ახვები

ამერიკელი სენატორი საქართველოს სინავსაციის ბარათით დაინტერესდა



უკვე რამდენიმე დღეა, რაც მსოფლიოში სიდიდით მესამე საერთაშორისო იურიდიული კომპანია DLA Piper-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, აშშ-ს სენატორი ჯორჯ მიტჩელი საქართველოში იმყოფება.

A3

მონიტორინგი

ელექტრო-მეურნეობები საბანკო მდგომარეობაშია

ელექტროდანაგარების არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეული ზარალისა და, მეტიც, მსხვერპლის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამოკვეთილი არ არის. რაც მთავარია, ამ ზარალისა და მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად არ არსებობს არავითარი დეკლარირებული გზა.

A4

აინფი

	27/09	28/09
თბილისი	25 ☁	21 ☁
ტყვიანული	22 ☁	21 ☁
სოხუმი	22 ☁	23 ☁
ღვანისი	20 ☁	17 ☁
გორი	21 ☁	18 ☁
ონი	17 ☁	12 ☁
ზუგდიდი	24 ☁	26 ☁
ახმეტა	24 ☁	21 ☁
ბაზრა	22 ☁	21 ☁
სამტრედიო	24 ☁	24 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.1656
ბრიტანული სტერლინგი	3.1880
რუბლი	0.0630

ახვები	A 2
ახვები	A 3
მონიტორინგი	A 4
ახვები	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

პირველი საქტემბერი 26 სექტემბერს

დალი კუპრავა

გუშინ საქალაქო ტრანსპორტი - მეტროთი და ავტობუსით მგზავრობა უფასო იყო. პირველკლასელებს საქართველოს ყველა სკოლაში დაურეგისტრირებელი და სახელმძღვანელოები სხვა?

ამ სასწავლო წელს საქართველო განსაკუთრებულად შეხვდა, 26 ახალი სკოლა აშენდა. თბილისში, ავლაბარში 98-ე სკოლა, საჩხერის რაიონში მახათურის სკოლა, ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძის საშუალო სკოლა... "როგორც იქნა, ქვეყანა გამოვიდა კრიზისიდან და ყურადღება მიექცია იმ სფეროს, რომელიც საქართველოს მომავალია," - განაცხადა გუშინ საგანგებო ბრიფინგზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომიაძემ. გარდა ახალი შენობებისა, 200 სკოლა კაპიტალურად შეკეთდა, თბილისში - 19 სკოლა, დანარჩენი - საქართველოს რეგიონებში.

2005-2006 სასწავლო წელს სასკოლო დაფინანსების სამოცდაათ პროცენტზე მეტი სკოლის პედაგოგთა და-



პირველკლასელები

ფინანსებაზე დაიხარჯება, მთავრობამ 17,5 მილიონი ლარი უკვე გამოყო და პედაგოგთა უფლებასუფრთხილად გაიზრდება. გუშინ პრეზიდენტმა გაიმთავრა, რომ პედაგოგის ხელფასი საჯარო მოხელისა-

ზე ნაკლები არ იქნება.

... ნიკა კი გაბრაზებული დაბრუნდა, ბიჭების ჩანთით გაუთავდათ და ვარდისფერი ყვავილებიანი ჩანთა მომცესო. ... მართა კი ნიგის ყიდვაც დაავალეს: "აჰ, გაჩუქებთი?"

რაიდავა თუ არ ქართულ ეკონომიკაში იტალიური ფული?

ეთარ მამალაშვილი

ოქტომბრის დასაწყისში საქართველო კიდევ ერთ მასშტაბურ ბიზნესფორუმს უმასპინძლებს. ამჯერად თბილისში იტალიელ მეწარმეთა მრავალრიცხოვან დელეგაციას ელოდებიან, რომელსაც იტალიის ეკონომიკის ვიცე-მინისტრი ადოლფო ურსო უზემძღვანელებს. ფორუმზე შეხვდებიან ერთი კვირით ადრე, ანუ დღეს, სპორტის სასახლეში, პირველად საქართველოს ისტორიაში, იტალიური ნაწარმის გამოფენა დაიხატება, რომელშიც გამაძლიერებელი 40 კომპანია მონაწილეობს.

ბაზრადება A3 ბავრდვა



ფაბრიკი რომანოს იმედი აქვს, რომ იტალიელი ინვესტორების წინადადებას საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს.

დიდი თაბაშის დასაწყისი

მიმდინარე თვის დასაწყისში უკრაინაში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისი, მართალია, ნაკლები ხმაურით, მაგრამ ფერადებით კვლავაც გრძელდება. უმაღლესმა რიგამ რამდენიმე დღის წინ მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილი იური ეხანუროვის კანდიდატურის დამტკიცება მეორე კენჭისყრით გაჭირვებით მოახერხა. მთავრობის ფორმირება კი, სავარაუდოდ, დღეს საღამოს დასრულდება. თითქოს კრიზისიდან გამოსავალი არც ისე შორსაა, მაგრამ პოზიციებს უზრძოლველად, ცხადია, არც გადაყენებული იულია ტიმოშენკო დათმობს. რუსეთის პროკურატურამ გუშინ საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა: ამიერიდან ტიმოშენკოს დაპატიმრება აღარ ეშუქება. ამ კარა, კრემლი უკრაინული პოლიტიკის უცვლელ მოთამაშედ დარჩენას აპირებს.

ბაზრადება A5 ბავრდვა



რუსეთი ტიმოშენკოს დაპატიმრებით აღარ ეშუქება.

"წალმონყვატილასის პროგრამა"

კონფლიქტის ზონის მოსახლეობას ახალი სოციალური პროგრამა გააცნეს

თამარ მაისურაძე

სიღარიბემ და სიღატაკემ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ერთიანად რომ დარია ხელი, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. "სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამა," - რომლის პირველი ეტაპიც 29 ივლისიდან დაიწყო, ღატაკთა შორის ღატაკის გამოვლენას ემსახურება. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველები, თავისთავად, სოფელ ერედვის მკვიდრნიც არიან. გუშინდელი დღის მონაცემებით, ამ სოფელში მდებარე საკრებულოში, სადაც 6 სოფლის მოსახლეობის მონაცემებმა უნდა მოიყაროს

თავი, სიღარიბესა თუ სიღატაკეზე პრეტენზია მხოლოდ 230-მა ოჯახმა განაცხადა.

"პირადობის მონაცემთა ბაზაში, ეს პროგრამის არ გეგმინო?" - პროგრამის შესახებ თავად დასვა კითხვა ჯანმრთელობის მინისტრმა, რის შემდეგაც იქაურებს თბილისიდან "პოლაროიდის" ფოტო-აპარატის გაგზავნას დაპირდა, რათა ლოგინად ჩაეგანდნო ილ უმწიფეს პირადობის მონაცემების ფოტოსურათი ადგილზე გადაუღონ.

ლალო ჭიბაშვილის ვარაუდით, საქართველოს მასშტაბით სიღატაკეზე პრეტენზიას 400 ათასი ოჯახი განაცხადებს, აქედან, მინიმუმ 120 ათასი, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი სახელმწიფოს დახმარებას მიიღებს.

ბაზრადება A3 ბავრდვა

სასაქონლო

"კანალიზაციის წყალი"

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამინისტროს წინააღმდეგ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, "წყალი, რომელიც ვაზიანის სამხედრო დასახლებაში გამოიყენება, სიცოცხლისთვის საშიშია, ვინაიდან მისი შემადგენლობა, სანიტარიულ-ქიმიური და სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური გამოკვლევის თანხმად, კანალიზაციის წყლის შემადგენლობას უტოლდება." ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, თავდაცვის სამინისტრო ამ სიბრალეს გულმოდინედ მალავს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ჯერ კიდევ 7 სექტემბერს საჯაროდ გაანაშურა სანიტარიისა და ჰიგიენის სამსახურის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, ამ წყლის სასმელად მოხმარება, ეპიდემიური თვალსაზრისით, დაუშვებელია. ამ ინფორმაციას სასწრაფოდ გამოემართა თავდაცვის სამინისტრო, რომელიც თავის ვებ-გვერდზე იუწყებოდა, რომ სამხედრო დასახლების წყალმომარაგების სისტემის გამართვა მის კომპეტენციაში არ შედის. რაც მთავარია, სამინისტრო აცხადებდა, რომ სა-

მხედრო ნაწილში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი მაგისტრალური ქსელი და იქ წყალი სუფთაა.

"თავდაცვის სამინისტრო ცრუობს," - აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც აგრძელებს კვლევას ვაზიანის დისლოცირებული სამხედრო ნაწილისა და სამხედრო დასახლების წყალმომარაგების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. კონკრეტულად, "თავდაცვის სამინისტრო რომ ცრუობს, დასტურდება 2005 წლის 12 სექტემბერს მისი დაკვირვებით ვაზიანის სამხედრო ნაწილის სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგებით, რომელიც თბილისის მერიის საწარმო "ჯანდაცვის ცენტრალურმა ლაბორატორიამ" განახორციელა. გამოკვლევის თანხმად, ვაზიანის სამხედრო ნაწილის სასმელი წყალიც უფარგისა და ეს თავდაცვის სამინისტრომაც შესაშინა და იცხადებს. აღნიშნული ლაბორატორიის მიერ 19 სექტემბერს ჩატარებული ანალიზის შედეგებიც არ არის სახარბიელო.

ბაზრადება A2 ბავრდვა

იბერეთის ძველი პრობლემები ახალი კადრებით ვერ ბვარდება

ლევან კახიანი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ იმერეთის შს მთავარი სამმართველოს რიგით მესამე უფროსია და ის ამ თანამდებობაზე იმერეთში ახალი რწმუნებულის ჩამოსვლამდე ორი კვირით ადრე დაინიშნა. შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, ისევე, როგორც ვაიკაჭარავას შემთხვევაში, ამჯერადაც საჭიროდ ჩათვალა, რომ იმერეთში პოლიციის უფროსი თბილისიდან გამოეგზავნა. კაჭარავასგან განსხვავებით, კახიანი სამსახურის შენობაში არ ცხოვრობს, რადგან, როგორც თავად ამბობს, "დიდი სტრესია სულ სამსახურში ყოფნა".

მაია მცხვარიშვილი ქუთაისიდან

"მე სამსახურმა მიქირავა ბინა. სიბრალე გითხრაო, არ დავინტერესებულვარ - რამდენად. ჩემთან ერთად ამავე ბინაში ცხოვრობს ჩემი ერთი თანამშრომელი. დანარჩენებსაც, რომლებიც მე აქ საშუაოდ თბილისიდან ჩამოვიყვანე, სამსახური დაუქირავებს ბინას," - აცხადებს ლევან კახიანი.

იმერეთის სამხარეო პოლიციის საფინანსო სამსახურში კახიანი

ნისა და სხვა თანამშრომლების საცხოვრებელი ბინის ხარჯების თაობაზე არაფერი იცინა. "ჩვენ არაფერს არ ვიხდით. შეიძლება, სამინისტრო ფარავს ამ ხარჯებს," - განმარტავს სამმართველოს ბუღალტერი.

კახიანი არც საკუთარი ხელფასის თაობაზე ფიქრობს ზუსტ ინფორმაციას, თუმცა ამბობს, რომ თბილისში უფრო მეტ ანაზღაურებას იღებდა. "აქ ხელზე ავიღე 1901 ლარი და იქ ვიღებდი 2000 ლარს," - აცხადებს კახიანი.

ბაზრადება A3 ბავრდვა

დიდი თამაზის დასაწყისი

პირველი გავრცელება

რუსეთის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს დაპატიმრების საჩუქარი გააუქმა და მისი საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა. პროკურატურის ინფორმაციით, გასულ უქმეებზე ტიმოშენკო მოსკოვში ჩავიდა და ნებაყოფლობით გამოცხადდა რუსეთის მთავარ სამხედრო პროკურატურაში, სადაც გამოძიებას საჭირო განმარტება მისცა. ამის შესახებ ცნობა რუსეთის გენერალური პროკურატურის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა. "მიღწეული შეთანხმება, რომ ტიმოშენკო მთავარ სამხედრო პროკურატურაში გამოძიების დასახმარებლად კვლავაც ნებაყოფლობით გამოცხადდება," - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, 2004 წლის სექტემბერში, სწორედ ნინასარჩვენი კამპანიის პერიოდში მოსკოვის სასამართლო იულია ტიმოშენკოს დაპატიმრების საჩუქარი გასცა და უკრაინის ოპოზიციის ქარიზმატულ ლიდერზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. რუსეთის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება გამოძიებამ მას შემდეგ მიიღო, რაც ტიმოშენკო რუსეთის მთავარ სამხედრო პროკურატურაში დაკავშირებაზე ორჯერ არ გამოცხადდა.

მას, როგორც "უკრაინის ერთადერთი ენერგეტიკული სისტემის" კომპანიის ხელმძღვანელს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკებისა და ოფიცრებისთვის ქრთამის მცდელობის კავშირში ედებოდა ბრალი. საინტერესოა, რომ სისხლის საპროცესო ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით პატიმრობაში დღეისთვის

ის მხოლოდ ერთი ადამიანი - გენერალი გეორგი ოლინიკი იმყოფება. დანარჩენი ექვსი პატიმარი თუ მონაწილეები საქმეში აღარ ფიგურირებენ. ასე რომ, ტიმოშენკოზე რუსი სამართალდამცავების მიერ საერთაშორისო ძებნის გამოცხადება (ისევე როგორც დღეს მისი შეწყვეტა), უდავოდ, პოლიტიკური ელფერის მატარებელი იყო. ბევრი მიმოხილველი გაუშინ იმ აზრზე საუბრობდა, რომ მოსკოვი მარტში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ფსონს სწორედ "ნარინჯისფერ ქალბატონზე" გააკეთებს. როგორც "უკრაინისკაია პრედა" - სთან საუბრისას პოლიტოლოგმა ანდრეი ფროლაევიმ განაცხადა, გამოძიება უფრო მეტი არ არის, რომ მოსკოვმა "იულია ტიმოშენკო იუშენკოს რეჟიმის ლიკვიდაციისა და უკრაინაში რუსეთისადმი უფრო ლიბერალური ხელისუფლების ფორმირებისთვის გამოიყენოს".

მწელი სათქმელია, მართლა გაურცხვდა თუ არა ტიმოშენკო ძველ მონაწილედგებას. მაგრამ ფაქტი საზნევა - უკრაინაში ახალი პოლიტიკური თამაშების ერა იწყება და რუსეთი მასურებლის როლში ყოფნას სულაც არ აპირებს.

საგულისხმოა, რომ დღემდე იულია ტიმოშენკოს ვიზიტი მოსკოვში მკაცრად გასაიდუმლებული იყო და ყოფილი პრემიერის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ამის შესახებ მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აღიარა. ვიტალი ჩეჩინოვა მომხდარზე კომენტარებისას სიტყვა-ტყუნი იყო და მხოლოდ ის თქვა, რომ ტიმოშენკო შაბათს მოსკოვს ეწვია და იმავე დღეს უკან დაბრუნდა. რუსული ანალიტიკური სააგენტო "გაზეტარუს" გუშინ ავრცელებდა ვერსიას,



ძნელი სათქმელია, მართლა გაურცხვდა თუ არა ტიმოშენკო ძველ მონაწილედგებას.

რომ შესაძლოა, ტიმოშენკო მოსკოვში, პროკურატურის გამოძიებების კური თამაშების ერა იწყება და რუსეთი მასურებლის როლში ყოფნას სულაც არ აპირებს.

ტიმოშენკოს მოულოდნელ ვიზიტს მოსკოვში მისი ერთ-ერთი კონსულტანტი დმიტრი ვიდრინი რუსეთის პრეზიდენტის პოზიციის შეცვლით ხსნის. "ტიმოშენკოს მოსკოვში არასოდეს უზიხებია. რუსეთის ელჩის ნაწილში ყოველთვის იყო და ახლაც არსებობს ადამიანთა ვეგეფი, რომელიც ლეონიდ კუჩმას გარემოცვასთან თანამშრომლობდა და სწორედ მან ითამაშა აქტიური როლი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რამაც საბოლოოდ, პრორუსული ძალები მეზობელ სახელმწიფოში პოლიტიკურ

ურ გაკოტრებამდე მიიყვანა. შესაძლოა, პრეზიდენტმა პუტინმა ამ ვეგეფის არაფექტიურობა გააცნობიერა და გადაწყვიტა, უკრაინის მიმართ პოლიტიკა შეეცვალა," - ამბობს ვიდრინი.

თუმცა, ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ საქმე ასე მარტივად არ იქნება. სავარაუდოდ, კრემლი არ გადაუდგება ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატის გუნდს და მარტო ტიმოშენკოს არ დაუჭერს მხარს. ასეთი დაპოლიტიკებული პოლიტიკოსების საშუალებას რუსული საპრეზიდენტო კენჭისყრაში მონაწილეობა უკვე მიღებული გაქვითილი მისცემს. საბოლოო კოსთა დღემდე. უკრაინაში ბევრი "რუსეთისთვის ასეთი მტკიცებულებები მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა,

საქართველო იერიში დაზას სექტორზე

ლაზას სექტორიდან ებრაელი მენაშენებისა და ჯარისკაცების გაყვანით პრობლემა არ გვარდება



ისრაელის მხრიდან მრავალჯერადი საპაერო იერიში კვლავ განხორციელდა.

ებრაელი მენაშენების სრულად გაყვანის პროცესის დასრულების შემდეგ, ღაზას სექტორში კვლავ არსებობს საფრთხე. ისრაელის მხრიდან გუშინ დღითი განხორციელებული იქნა საპაერო შეტევა პალესტინური ორგანიზაცია "ჰამას"-ის განცხადებას მოჰყვა. ამ უკანასკნელის წარმომადგენლის მამუდ აბ-ზაჰარის თქმით, ისინი აღარ გამოიყენებდნენ ღაზას სექტორის ისრაელის ტერიტორიის დასაბრუნებად თუმცა, საცხადებოა ის ფაქტი, რომ ეს განცხადება ორივე დღის წინ გაკეთდა, მანამდე კი ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელებმა ათობით რაკეტა ისროლეს.

უშუალოდ პალესტინელთა პრობლემა. ოფიციალური ცნობებით, სექტორში 30 000-ზე მეტი პირია შეიარაღებული.

"ჩვენ ველოთ, რომ პალესტინის ავტონომიის ხელისუფლება დანიშნავს არაქონიერი იარაღის ამოღებას მოსახლეობიდან. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში 30 000-ზე მეტი პირია არაღებულ იარაღის მფლობელი, ადმინისტრაცია არ ზრუნავს ცეცხლის შეწყვეტის პრობლემაზე," - განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გიდონ მერემ.

ორმაბთ დილას ისრაელის მხრიდან მრავალჯერადი საპაერო იერიში კვირას "ლიკუდ"-ის შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ განხორციელდა. "ლიკუდ"-ის ცენტრული კომიტეტი კენჭს უყრიდა ბენიამინ ნეთანიაჰს წინადადებას ნოემბერში პარტიის პრაიმერის ჩატარების შესახებ. როგორც კენჭისყრის შედეგებმა აჩვენა, ნეთანიაჰუს მხარდამჭერთა რაოდენობამ "ლიკუდ"-ის მხარდამჭერთა შორის 50.7 პროცენტს მიიღო, 42.3-ის ნინააღმდეგ, ხოლო 6.9 პროცენტს არჩევანის გაკეთება გაუჭირდა. ამგვარი მონაცემები იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ ნეთანიაჰს არ გაუჭირდება შარონის, როგორც პრემიერ-მინისტრის დისკრედიტაცია, მით უფრო, თუ პარლამენტში საკმარის მხარდამჭერი ეყოლება; მაგრამ ეს მაინც შორეული მომავლის საქმეა, ამ ეტაპზე კი იმის თქმა შეუძლებელია, რომ შარონს ასეთ ვითარებაში პარტიის დატოვება მოუწევს და ახალი ცენტრისტული ბლოკის შექმნაზე ზრუნვა, რასაც თავად პრემიერ-მინისტრის თანაშემწეებიც ადასტურებენ.

24 საათი

ირაჟი კუბარკი: "ნატახტარის წყალი საუკეთესოა ლუდის წარმოებისათვის"



29 სექტემბერს ნატახტარში ოფიციალურად გაიხსნება ლუდის ახალი ქარხანა. "ლუდსახარში ნატახტარი", რომელიც, შეიქმნა ითქვას, ახალი ათასწლეულის საწარმოს კარგ ნიმუშს წარმოადგენს, ახალი ქართული ლუდის "ნატახტარის" ჩამოსხმას იწყებს. ქარხანა უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, მანქანა-დანადგარები სრულად კომპიუტერიზებულია და ამდენად, საშუალო პროცესი მაქსიმალურად გამოირიცხავს ადამიანის ჩარევას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გაჩნდა 300 ახალი სამუშაო ადგილი საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით, საიდანაც უმეტესზე ადგილობრივი და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა დასაქმებული. როგორც ტექნოლოგია იქნება გამოყენებული ახალი ლუდის წარმოებისათვის, რამდენი სახეობის პროდუქციას შესთავაზებს მომხმარებელს ახალი საწარმო და რა მნიშვნელობა ენიჭება წარმოებისათვის ნატახტარის წყალს? "24 საათის" შეკითხვებს "ლუდსახარში ნატახტარი"-ს მთავარი ტექნოლოგი არეტი კუბარკი პასუხობს.

ინოვაციური წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

"ლუდსახარში ნატახტარი"-ს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული გერმანიიდან იმპორტირდება, ტექნოლოგია კი ჩეხურია. მიუხედავად ამისა, "ლუდსახარში ნატახტარი"-ს მიერ წარმოებული ლუდი სრულიად ახალი გემოსი იქნება, რადგან მისი ტექნოლოგიის შემუშავებისას მაქსიმალურად გათვალისწინებულია ქართველი მომხმარებლის გემოვნება. უფრო დანერგვით კი - ლუდი "ნატახტარი" ორნახარში, გავლენილი ლუდის კატეგორიას განეკუთვნება და მისი ალკოჰოლის შემადგენლობა 4,5 გრადუსია. იგი მაღალხარისხისაა მისი ბოთლი წამოსხმება, რომელიც სპეციალურად სანარმოსათვის რუსეთში მზადდება.

- რამდენი სახეობის ლუდის წარმოება დაგეგმილი?

"ლუდსახარში ნატახტარი" მრავალფეროვანი ასორტიმენტის ლუდის გამოშვებას გეგმავს, რომელიც ორი სახეობის ბოთლი და ოთხი განსხვავებული სახის ალუმიინის ქილაში იქნება ჩამოსხმული. ჯერჯერობით კი, პირველი პროდუქცია მხოლოდ ლუდი "ნატახტარით" იქნება წარმოდგენილი, რომელიც თავისი გემოთი და არომატით ჩეხური ლუდების "ბუდეგისა" და "ურკველის" შუალედურ სახეობას წარმოადგენს.

- თქვენ ჩეხეთიდან ჩამოიტანთ ლუდის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამასთან, თქვენ, ლუდის ტექნოლოგის სფეროში მუშაობის ოცდახუთწლიანი გამოცდილება გაქვთ. რა-მისათვის რუსეთში მზადდება.

ბა ახალი ქართული ლუდი? - "ლუდსახარში ნატახტარი" ევროსტანდარტების შესაბამისად აშენდა. მისი ტექნიკური აღჭურვილობაც ევროპული სტანდარტების შესაბამისია. ამდენად აქ ჩამოსხმული ლუდი მსოფლიოში აღიარებული და მოწონებული ხარისხის იქნება. რაც შეეხება ჩემს სამუშაოს, კონტრაქტის საფუძველზე, ნატახტარში წელიწადნახევრის განმავლობაში დაერჩები. ჩემს გარდა აქ სხვა ჩეხი სპეციალისტებიც მუშაობენ, რომლებიც გარეთე ლუდის წარმოებას და ტექნოლოგიურ პროცესს აკონტროლებენ. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საქართველოშიც ლუდის წარმოების არანაკლები ტრადიციები და კულტურა არსებობს. ეს მე ჩემი თვალთი ვნახე, როცა საქართველოს მთიან რეგიონებში ვიმოგზურე და იქაურ ოჯახებში მზარსული ლუდიც ვიკემე.

- ახალი ქარხნის ასაშენებლად რატომ შეირჩა მინცდამინც ნატახტარი?

ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ. მიზეზი, რის გამოც ლუდის ახალი ქარხნის მშენებლობისათვის სოფელი ნატახტარი შეირჩა, პირველხარისხოვანია კარგი ლუდის წარმოებისათვის და ეს არის ის გარემოება, რომ ნატახტარში საუკეთესო თვისებებისა და ხარისხის სასმელი წყალია, რომელიც ლუდის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

P.S. და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - პირველად საქართველოში ლუდის წარმოებისას სწორედ ნატახტარის ლუდსახარში მოხდება ალაოს (დამუშავებული ქერი) რეცხვა. ასე რომ სრული ტექნოლოგიური პროცესი ადგაღეს, შესაბამისი კონტროლის ქვეშ განხორციელდება, რაც თავისთავად მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა.

I.G.E.P.P. - ITALY GEORGIA ECONOMIC PARTNERSHIP PROGRAMME

პროექტი სორციალუბა იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროს თანადაფინანსებით ქართულ და იტალიურ კომპანიებს შორის ბიზნეს თანამშრომლობის ხელშეწყობა

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროსა, ექსპ. ს.პ.ა. და კაზერტას პროვინციის მრეწველთა კავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამას (ი.გ.ე.პ.პ.).

პროგრამის მიზანია ორ ქვეყანას შორის ბიზნესურიერთობების ხელშეწყობა საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვისა და ორმხრივი სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების გზით. პროგრამის ფარგლებში, ქართულ კომპანიებს ექვითა-

შუალევა, წარმოადგინონ საკუთარი ბიზნესინადადებები იტალიელი პარტნიორების მოძიების მიზნით.

ბიზნესინადადებების წარსადგენად საჭიროა სათანადო ფორმის შექმნა, რომლის მიღება შეიძლება პროექტის ვებ გვერდზე www.igepi.com ან ოფისში შემდეგ მისამართზე: გერგეთის ქ. 3, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია. ოფისი მუშაობს 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

შეესებული ფორმები მიიღება 2005 წლის 1 ოქტომბრამდე.

საერთაშორისო ბიზნესმენთა ფედერაცია
Federation of Georgian Businessmen

EXEN
Unione degli Industriali della Provincia di Caserta
AMCHAM

ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მუშაობა"

აცხადებს კონკურსს საინფორმაციო პროგრამის დამუშავების თანამდებობაზე

მოთხოვნები

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
- სასაბჭოთაო გარეგნობა;
- სასაბჭოთაო ხმის ტემპირი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბილობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მუშაობა"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, მოსტავას ქ. 68

აუთოს მისი საქართველოში აცხადებს ტენდერს მომსახურებაზე:

წყალმომარაგების, კანალიზაციისა და გათბობის სისტემების მცირე ზომის სამონტაჟო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოები ეუთოს მისია საქართველოში ინვესტ კვლავიციონერულ კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში:

წყალმომარაგების, კანალიზაციისა და გათბობის სისტემების მცირე ზომის სამონტაჟო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოები

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები და გაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი).
2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 29 სექტემბერი, 13:00.

"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტიები


კონკურსი გაიმართება ბათუმში 1 ოქტომბერს



ლიანი ვარ. მეც უფრო მეტად ამის იმედი მაქვს, ვიდრე საკუთარი თავის.

- რატომ, ზარმაცი ხარ?
- პირიქით, ძალიან შრომისმოყვარე ვარ, მაგრამ რატომღაც უფრო ბედისწერის მჯერა.
- მკითხაობაც ხომ არ გიყვარს?
- კი, ძალიან. მეც ვმკითხაობ და სხვებსაც ვამკითხავებინებ.
- როგორ ერთობი?
- ძალიან ენერჯიული ვარ. სულ ვცეკვავ. ფეხით სიარული მიყვარს.
- სად დაიხვეწე?
- ბათუმში.

რუსკა მანვილაძე N30
 ასაკი: 17 წლის
 სიმაღლე: 171 სმ.
 პარამეტრები: 92-62-92
 - ესწავლობ სამედიცინო კოლეჯში, მეორე კურსზე.
 - პროფესია შენით აირჩიე?
 - დიახ. მინდა ფარმაცევტი გამოვიდე.
 - დიდი ხანია, რაც სილამაზის კონკურსში მონაწილეობა გინდა?
 - საერთოდ, პირველად ვმონაწილეობ; ოჯახის წევრებმა მიჩიქეს, თუმცა, მეც მინდოდა.
 - რა არის შენი მიზანი ამ კონკურსში?
 - უფრო გასართობად მოვედი. მიხარია, რომ ხალხი გავიცანი. ვისწავლე ბევრი რამ: პოლიუმზე სიარული, მეტყველებაც გამოვასწორე. აქ ნამდვილად კარგია.



- თავისუფალ დროს როგორ ატარებ?
- მეგობრების წრეში; ხან კლუბებში დავდივართ, ხან შინ ვერთობით.
- ჰობი?
- ცეკვა და ცურვა. ექვსი წელი დავდიოდი და მგონი, კარგად ვცურავ. როცა მცალია, ვკითხულობ კიდეც.
- თუ გახსოვს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმანანარამოგებმა მოახდინა?
- "ქალის წერილებმა" (ავტორი არ მახსოვს); კითხვის დროს ვტიროდი კიდეც.
- რომანტიკული ხარ?
- ზომიერად.
- რამდენად მოულოდნელი იქნება შენთვის გამარჯვება?
- ნამდვილად მოულოდნელი იქნება, იმიტომ რომ ყველანი კარგები ვართ.



ეკა ლაბარტაშვილი N23
 ასაკი: 20 წლის
 სიმაღლე: 171 სმ.
 პარამეტრები: 85-63-91
 - ესწავლობ სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე, სამედიცინო-დიაგნოსტიკის სპეციალობით. პროფესია მე არ ამირჩევია, ჰუმანიტარული საგნები უკეთესად ვიცოდი, მაგ-

რამ მერე რატომღაც გადაწყვიტე, რომ კარგი სპეციალობა იყო, თანამედროვე; მოვეზადე და ჩავაბარე.
 - სწავლის პარალელურად

მოდებოდასაც ვუფლები?
 - დიახ, ერთ-ერთ სააგენტოში ვიყავი, როდესაც გადაწყვიტე, კონკურსში მეცადა ბედი. ჩვენებზე გამოვსულვარ, კონკურსებზე - არა.

ბათუმის თეატრი

2
 ოქტომბერი

Miss Georgia

2005

მის საქართველო

MISS WORLD

Austrian

სხვა სპონსორები: MFC, სხვა

ნინო კონკურსებს თუ ადევნებდი თვალს?
 - კი, ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ასეთი კონკურსი იმართება; მომწონს, რომ მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

- და გინდა, რომ შენც იყო ამ ყურადღების ობიექტი?
 - იმ მიზნით არ მოვსულვარ, რომ "მის საქართველო" უნდა გავხდე. უბრალოდ, ვნახე, რა შემოიღია.

- რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
 - მიყვარს რეჟიმი ყოფნა. ამას გარდა, გამოცდილებას ვიღებ. კონკურსში ყველა სხვადასხვანაირია; ყველასთან ვერ იმეგობრებ, მაგრამ თითოეულის ხასიათი რაღაც ცხოვრებისეულს გასწავლის. ამით კმაყოფილი ვარ.

- იგივეს საკუთარ მეგობრებთანაც ხომ ისწავლი?
 - აქ დიდიხანა სალაშობი ვართ, ჩაკეტილი სივრცეა და უფრო მეტი საშუალებაა ერთმანეთის კარგად გაცნობის. ამ პირობებში ყველაფერს აფიქსირებ. ადამიანს რომ არ უნდოდეს საკუთარი უარყოფითი მხარის ჩვენება, ამ სიტუაციაში მაინც შეაძინე.

- თავისუფალ დროს რას საქმიანობ?
 - ვისვენებ და სარკეში ვიყურებ - საკუთარ თავზე ვზრუნავ.

ქეთი გაკოპიანი N27
 ასაკი: 18 წლის
 სიმაღლე: 172 სმ.
 პარამეტრები: 83-63-90
 - ესწავლობ ტექნიკურ უნივერსიტეტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. პირველად მოვედი კონკურსზე და გამიართულა. ძალიან მიხარია. სიმართლე გითხრა, იმედი არ მქონდა. მოდებოდა ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო, მაგრამ რატომღაც სულ თავს ვიკავებდი. ახლა აუცილებლად გავაგრძელებ.
 - ხშირად გიმართლებს?
 - შეიძლება ითქვას, რომ იღბ-

ანა სხენიაშვილი N31
 ასაკი: 17 წლის
 სიმაღლე: 171 სმ.
 პარამეტრები: 89-62-90
 - ესწავლობ კულტურის კოლეჯში, პროფესია - შოუს ასისტენტი. წელს გავხდი "მის ბორჯომი" და თავისთავად მოვხვდი "მის საქართველოს" შესარჩევ კონკურსში, სადაც ყოველთვის მინდოდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ხან ასაკი არ მინდოდა და ხელს, ხან პრობლემები მქონდა... ბავშვობიდან მინდოდა, მოდელი გამოვსულიყავი.
 - "იმიჯ ცენტრში" მოსვლამდე რა იცოდი კონკურსის შესახებ?
 - ვიცოდი, რომ ძალიან კარგად ერთობოდნენ და თუ აქ მოხვდებოდი, გაფართოვდებოდა ჩემი სამეგობრო წრე.
 - ამდენ ახალგაზრდობს გოგოსთან თავიდან არ გაგიჭირდა ურთიერთობა?
 - არა, საერთოდ ადვილად შევდივარ კონტაქტში.
 - საყვარელი გასართობი?
 - კალათბურთის თამაში.
 - დასვენებას სად აშჯობინებ?
 - ზღვაზე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბათუმში მივდივარ.
 - ცურავ?
 - ძალიან კარგად არა, სხვას ვერ გადავარჩენ, მაგრამ ჩემთვის ვიცი.
 - როგორ ადამიანს ვერ გეუბნი?
 - ორპირს, მატყუარას. მათგან შორს ვიჭერ თავს.
 - გამარჯვებას ელოდები?
 - მის საქართველოს ამპლუაში ვერ წარმომიდგენია თავი.



ხმა მიეცით თქვენს რჩეულს და აირჩიეთ
"ტელემაყურებლის სიმპათია":
 SMS მაგთი 1060
 SMS ჯეოსელი 1040
 ენვეთ ჩვენს საიტს
 www.missgeorgia.ge
 და გამოავლინეთ
"მის-ფოტოგენეროზა"